სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„20“ ოქტომბერი 2014 წელი

ეგზ. № 1

ქ. თბილისის მერიის მიერ 2009-2011 წლებში ქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში №3/00

შინაარსი

შესავალი **3**

აუდიტის ძირითადი მიზანი **3**

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ **3**

აუდიტორის პასუხისმგებლობა **3**

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა **5**

პირობითი მოსაზრების საფუძველები **9**

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა: **9**

შუქნიშნის ობიექტებისა და საგზაო ნიშნების მიწოდება-მონტაჟის სამუშაოები **11**

საგზაო ნიშნების მოწყობა **12**

მიმართულების წინასწარი მანიშნებელი „დიდი“ საგზაო ნიშნები 12

პატარა საგზაო ნიშნები 13

შუქნიშნებისა და საგზაო ნიშნების ექსპლოატაცია **14**

გზაჯვარედინების რეორგანიზაცია, ე.წ. „უსაფრთხოების კუნძულები“ **15**

ნაგვის ურნებისათვის ე.წ. „ჯიბეების“ მოწყობის სამუშაოები **18**

სხვადასხვა საქონელი და მომსახურება **19**

მოძრაობის კონტროლისა და მართვის ცენტრის მოწყობის სამუშაოები 19

მზის ენერგიაზე მომუშავე სანათები 20

მოქნილი ბოძების, „ბოძწკინტების“ შეძენა 21

სიჩქარის შემანელებელი ხელოვნური უსწორმასწორობების,ე.წ. „დაწოლილი პოლიციელების“ შეძენა 22

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ **23**

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი **23**

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები **23**

შესავალი

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

ა) ქ.თბილისის მერიის მიერ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების პროგრამასთან დაკავშირებული ფინანსური სახსრების ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და დაცვის, კანონიერებისა და მიზნობრიობაზე დასაბუთებული რწმუნების მოპოვება;

ბ) სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების პროგრამის ფინანსური და სხვა რესურსების გამოყენების, მართვის სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილებების ეკონომიურობის შეფასება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია უზრუნველყოს ქ.თბილისის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება პროგრამის ფარგლებში აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების

პროგრამის ფარგლებში ქ. თბილისის მერიის მიერ განხორციელებული საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების პროგრამის მოკლე აღწერა

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების პროგრამის მიზანია ქ.თბილისში სატრანსპორტო მოძრაობის გაუმჯობესება, ავტომანქანების გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა, რეგულირება და კონტროლი.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- ქალაქში შუქნიშნების ქსელი უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე სტანდარტებს;
- მოძრაობის რეგულირების ისეთი სისტემის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ქუჩების მაღალ გამტარუნარიანობას;
- ქუჩების მარკირება მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;
- გზაჯვარედინების რეკონსტრუქცია მოძრაობის მაღალი გამტარუნარიანობის უზრუნველსაყოფად;
- ახალი შუქნიშნებისა და საგზაო ნიშნების შეძენა- მონტაჟი.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ქ. თბილისის მერიის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოიცავს:

- ✓ ქალაქის ტერიტორიაზე შუქნიშნის ახალი ობიექტების მოწყობას და შუქნიშნების მართვის ოპტიმალური რეჟიმის შემუშავებას;
- ✓ ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟებას, მათ შორის მიმართულების მიმთითებელი დიდი საგზაო ნიშნების დაყენებას;
- ✓ შუქნიშნებისა და საგზაო ნიშნების მოვლა - შენახვას და ექსპლოატაციის სამუშაოების ჩატარებას;
- ✓ ქუჩების მონიშვნითი სამუშაოების ჩატარებას (ერთკომპონენტიანი საღებავით, თერმოპლასტით და ცივი პლასტით);
- ✓ გზაჯვარედინების რეორგანიზაციის სამუშაოებს.

2009-2011 წლებში განახლდა ქ. თბილისის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა: დამონტაჟდა ახალი სატრანსპორტო და ქვეითად მოსიარულეთა შუქნიშნები, შუქნიშნის ჰალოგენური მატრიცები ჩანაცვლებულ იქნა დიოდურით; შეიქმნა შუქნიშნების მართვის ცენტრი; სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოებისა და მაღალი გამტარუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით მოეწყო ე.წ. „უსაფრთხოების კუნძულები“. განვითარდა საგზაო მონიშვნების ტექნოლოგია: ეტაპობრივად ხდება ერთკომპონენტიანი აკრილის საღებავიდან - ქუჩების თანამედროვე მეთოდით თერმო და ცივი პლასტით მონიშვნაზე გადასვლა.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

ქ. თბილისის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების პროგრამა 2009-2011 წლებში დაფინანსდა მხოლოდ ქ. თბილისის ბიუჯეტიდან. სულ დამტკიცებული ბიუჯეტი განისაზღვრა 23 443.7 ათასი ლარით, დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 21 993.8 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 21 944.9 ათასი ლარი.

2009 წელს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი განისაზღვრა 6 900 ათასი ლარით, წლის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა 12 ცვლილება და დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 6 905.9 ათასი ლარი. 2010 წელს დამტკიცებული ბიუჯეტი იყო 6 875.3 ათასი ლარი, წლის განმავლობაში შეტანილი 8 ცვლილების შედეგად დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 5 404.9 ათასი. 2011 წელს თავდაპირველად დამტკიცებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 9 668.4 ათასი, ხოლო განხორციელებული 5 ცვლილების შედეგად დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა 9 683 ათას ლარით. ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები ძირითადად შეეხებოდა ასიგნებების შიდა კვარტალურ და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილებებს.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების ბიუჯეტი 2009-2011 წლებში



ხარჯები სხვადასხვა ღონისძიების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

- საპროექტო სახარჯთაღრიცხვო და საექსპერტო მომსახურების შეძენაზე – 706 ათასი ლარი;
- შუქნიშნის ობიექტების მოწყობაზე – 1 654 ათასი ლარი;
- საგზაო ნიშნების მოწყობაზე – 2 340 ათასი ლარი;
- შუქნიშნის ობიექტების მართვის ცენტრის მოწყობაზე – 3 420[1] ათასი ლარი;
- შუქნიშნებისა და საგზაო ნიშნების ექსპლოატაციაზე – 899 ათასი ლარი;
- გზაჯვარედინების რეორგანიზაციაზე(უსაფრთხოების კუნძულები) – 2 104 ათასი ლარი;
- ქუჩების მონიშვნით სამუშაოებზე – 6 966 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონლის ან მომსახურების შეძენაზე – 3 856[2] ათასი ლარი.

2009-2011 წლებში ქ.თბილისში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის განხორციელდა 93 შესყიდვა, მათ შორის, 63 ტენდერის (ელ. ტენდერი), 23 - ერთ პირთან მოლაპარაკების და 7 - ფასთა კოტირების (გამარტივებული ელ.ტენდერი) გზით.

[1] ხელშეკრულება გაფორმებულია 2,875 ათას ევროზე. დარჩენილი ნაწილის შესრულება ხორციელდება 2012 წელს

[2] აღნიშნული თანხიდან 1 235 ათასი ლარი შეტანილ იქნა შპს „თბილისის ავტობუსის“ საწესდებო კაპიტალში. აღნიშნული თანხის ხარჯვის შემოწმება აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე არ განხორციელებულა

2009-2011 წლებში განხორციელებულ შესყიდვებზე თანხების გადანაწილება შესყიდვის საშუალებების მიხედვით (ათას ლარებში)



2009-2011 წლებში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის გამოყოფილი თანხის 97% გაიხარჯა შესყიდვებზე, რომლის დროსაც შესყიდვა ტენდერის (ელ. ტენდერის) საშუალებით განხორციელდა. შესაბამისად, ფასთა კოტირების (გამარტივებული ელ. ტენდერის) საშუალებით გაიხარჯა თანხის 2%, ხოლო ეპმ-ის (გამარტივებული შესყიდვის) საშუალებით - თანხის 1%. დადებითად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების 97% - განხორციელდა ტენდერის (ელ. ტენდერის) მეშვეობით.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა:

ქ.თბილისის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების უმრავლესობა მიმდინარეობს წინასწარ შემუშავებული პროექტის შესაბამისად, რაც დადებითი ტენდენციაა და ხელს უწყობს სამუშაოების ეფექტიანად წარმართვას. სულ 2009-2011 წლებში პროექტებისათვის დახარჯულია 506 ათასი ლარი. პროექტის შედგენა მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას, ასევე მომსახურების მიწოდება ინტელექტუალური მომსახურების მიწოდებას წარმოადგენს, ამიტომ ცალსახად შეუძლებელია იმის განსაზღვრა, ყველაზე დაბალი ფასით განხორციელდა თუ არა შესყიდვა. მიუხედავად ამისა, მაინც გამოვლინდა რამდენიმე კონკრეტული შემთხვევა და ფაქტი, რომლის დროსაც, სავარაუდოდ, შესაძლებელი იყო ნაკლები ფინანსური რესურსებით იმავე შედეგის მიღწევა. კერძოდ:

1. 2009 წელს ქალაქ თბილისის მერიამ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ასოციაცია „დაცულ მოძრაობასთან“ გააფორმა 2 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით - 85 ათასი ლარი, რომლის ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 84 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანი იყო: *„დედაქალაქის ქუჩებში საცობებისა და შეფერხებული მოძრაობის გამომწვევი მიზეზების კვლევა“* და *„შუქნიშნებსა და გზაჯვარედინებზე არსებული მდგომარეობის კვლევა“. აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში,* „დაცული მოძრაობის“ მიერ *წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით,* განხორციელდა მძღოლების გამოკითხვა 10 - პუნქტიანი კითხვარით და მიღებული ინფორმაციის მარტივი დამუშავება კომპიუტერულად (სტატისტიკურად). პირველ შემთხვევაში გამოიკითხა 500 მძღოლი, მათ შორის, 200 მუნიციპალური ავტოტრანსპორტის, 200 სამარშუტო ტაქსის, 50 ტაქსის, 50 ავტომოყვარული. ანალოგიურად განხორციელდა მეორე

კვლევაც, რომელიც ეხებოდა *„შუქნიშნებსა და გზაჯვარედინებზე არსებულ მდგომარეობას“,* ამ შემთხვევაში გამოიკითხა 350 რესპონდენტი. ჯამში, ერთი რესპონდენტის გამოკითხვასა და მონაცემთა დამუშავებაზე, ორივე შემთხვევაში დაიხარჯა, დაახლოებით 100 ლარი.

2. ქ.თბილისის მერიასა და შპს „ROM Transportation Engineering-ს“[3] შორის 2009 წელს გაფორმდა ხელშეკრულება „გზაჯვარედინების რეორგანიზაციაზე საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის შედგენის“ მომსახურებაზე, საერთო თანხით - 173 ათასი ლარი. მიმწოდებელმა მერიას აღნიშნული ხელშეკრულებით მიაწოდა პროექტი-ხარჯთაღრიცხვა 10 გზაჯვარედინზე. 2008 წელს ქ. თბილისის მერიამ „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საექსპერტო ცენტრიდან“ - 2 გზაჯვარედინზე მსგავსი პროექტი-ხარჯთაღრიცხვა შეისყიდა 6 000 ლარად. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები ერთეულის ფასებს შორის სხვაობების ობიექტური დასაბუთებულობის შესახებ.

3. ქ.თბილისის მერია ეპმ-ის[4] საშუალებით, ყოველწლიურად ახორციელებს შპს „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საექსპერტო ცენტრიდან“ შუქნიშნების ე.წ. „პასპორტის“ შედგენის მომსახურების შესყიდვას, საშუალოდ 20 ათასი ლარის ღირებულებით. 2009-2011 წლებში სულ შესყიდულია 59 ათასი ლარის ღირებულების მომსახურება. შპს „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საექსპერტო ცენტრის“ მიერ შედგენილ „პასპორტს“ განიხილავს და აფასებს ქ.თბილისის მერიის საგზაო მოძრაობის განყოფილების სპეციალისტი.

<u>სასურველია</u>, მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე, მერიის მიერ შესწავლილი იქნეს საკითხი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება პასპორტების შედგენა უშუალოდ ქ.თბილისის მერიის მიერ კონტრაქტორის აყვანის გარეშე.

[3] ისრაელში რეგისტრირებული, მსგავს სამუშაოებზე სპეციალიზირებული ფირმა

შუქნიშნის ობიექტებისა და საგზაო ნიშნების მიწოდება-მონტაჟის სამუშაოები

2009-2011 წლებში ქ.თბილისის მერიის მიერ შუქნიშნის ობიექტების მიწოდება მონტაჟზე გაწეულია 1.65 მილიონი ლარის ხარჯი. ყველა შემთხვევაში მიმწოდებელია შპს „გზაჯვარედინი“, რომელიც ჩატარებული ხუთი ტენდერიდან სამ შემთხვევაში კონკურენციის გარეშე იმარჯვებს. აღნიშნულს შესაძლოა ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ქ.თბილისის მერიის მოთხოვნით, პრეტენდენტს უნდა ჰქონოდა 500 ათასი ლარის ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება. აუდიტის ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ვერ მივიღეთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, საქართველოში არსებობდა თუ არა ანალოგიური მომსახურების მიმწოდებლები შპს „შუქნიშნისა“ და შპს „გზაჯვარედინის“ გარდა, რომელთაც აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება შეეძლოთ. არსებობს რისკი იმისა, რომ ზემო აღნიშნული მოთხოვნის გამო, ტენდერზე თავიდანვე შეიქმნა ისეთი წინაპირობა, რომლის დროსაც მიმწოდებელი მხოლოდ შპს „გზაჯვარედინი“ იქნებოდა. აღნიშნულ რისკს ზრდის ის ფაქტი, რომ შპს „შუქნიშნის“ (100 % - წილის მფლობელი ქ.თბილისის მერია) დირექტორია ნიკოლოზ გაბელაია, რომელსაც ამავე დროს ფინანსური ინტერესი გააჩნდა შპს „გზაჯვარედინში“ (შპს „გზაჯვარედინის“ 34 %-ის მფლობელია ზურაბ გაბელაია, ნიკოლოზ გაბელაიას ოჯახის წევრი). შპს „შუქნიშანს“, მიუხედავად გამოცდილებისა, 2009-2011 წლებში ქ.თბილისის მერიის მიერ შუქნიშნის ობიექტების მიწოდება მონტაჟზე გამოცხადებულ არც ერთ ტენდერში მონაწილეობა არ მიუღია.

2009 წლის 16 იანვარს ქ.თბილისის მერიამ შპს „გზაჯვარედინისგან“ შეიძინა 58 ათასი ლარის ღირებულების შუქნიშნის ობიექტის მიწოდება-მონტაჟის მომსახურება, ფასთა კოტირების საშუალებით. ქ.თბილისის მერიამ 15 იანვარს ფასთა კოტირებაში მონაწილეობის მოწვევა გაუგზავნა 2 პრეტენდენტს, შპს „ვია ესტ ვიტას“ და შპს „შუქნიშანს“. 16 იანვარს შპს „გზაჯვარედინმა“[5] მისწერა მერიას, რომ სურვილი გააჩნდა

[5] მერიას შპს „გზაჯვარედინისთვის მოწვევა არ გაუგზავნია

მონაწილეობა მიიღო ზემოაღნიშნულ შესყიდვაში. შპს „შუქნიშანმა“ და შპს „ვია ესტ ვიტამ“ წინადადებები არ წარმოადგინეს და შესაბამისად, გაიმარჯვა შპს „გზაჯვარედინმა“.[6]

2010 წელს ერთ-ერთ ტენდერზე მოიხსნა მოთხოვნა 500 ათასი ლარის მსგავსი სამუშაოს გამოცდილების შესახებ და შესაბამისად, შეიქმნა კონკურენტული გარემო[7]. შპს „გზაჯვარედინმა“ პირველად წარმოდგენილი სატენდერო წინადადება ღირებულებით - 720 ათასი ლარი, ზეპირი ვაჭრობის შედეგად შეამცირა და მომსახურება მერიას მიაწოდა 418 ათას ლარად, ანუ თავდაპირველი ღირებულება შეამცირა 41 %- ით.

საგზაო ნიშნების მოწყობა

<u>მიმართულების წინასწარი მანიშნებელი „დიდი“ საგზაო ნიშნები</u>

ქ.თბილისის მერიის მიერ 2010 და 2011 წლებში შესყიდულია 50-50 ცალი მიმართულების წინასწარ მანიშნებელი დიდი ზომის საგზაო ნიშნები (ერთი საგზაო ნიშნის ღირებულება საშუალოდ - 10 000 - 12 000 ლარი). შესყიდვა 2010 წელს განხორციელდა შპს „ექსიმ პარკეტისგან“- 538 ათას ლარად, რომლის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შეადგინა შპს „გონი 2009“-მ[8], ხოლო 2011 წელს აღნიშნული საგზაო ნიშნების მიწოდება-მონტაჟი შეასრულა შპს „გონი 2009-მ“ 644 ათას ლარად - შპს „სენსონის“ პროექტის[9] მიხედვით.

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ შესაძლებელია ერთეულის ფასები მნიშვნელოვნად აღემატებოდეს საბაზროს და

[6] შპს „გზაჯვარედინის“ მფლობელები: *(ზურაბ გაგელაია 34% (ნიკოლოზ გაგელაიას ოჯახის წევრი); სვეტლანა ჩუბინიძე 33 %; ლევან გაგაძე 33 %).*

[7] 2009 წელს მოიხსნა მოთხოვნა 500 ათას ლარიანი გამოცდილების შესახებ და ტენდერზე მონაწილეობა მიიღო 3 პრეტენდენტმა. შემდეგ ისევ შეიტანეს სატენდერო დოკუმენტაციაში აღნიშნული მოთხოვნა, ხოლო შემდგომ წლებში აღნიშნული შეზღუდვა მოიხსნა

[8] პროექტის შედგენის ღირებულებამ შეადგინა 46.7 ათასი ლარი

[9] პროექტის შედგენის ღირებულებამ შეადგინა 39 ათასი ლარი

შესასყიდი სამუშაოების სავარაუდო ღირებულების განსაზღვა არ ეფუძნებოდეს დასაბუთებულ გათვლებს. აღნიშნული დასტურდება კონკრეტული ფაქტით. კერძოდ: 2010 წელს შპს „ექსიმ პარკეტმა“ დიდი საგზაო ნიშნების დგარების დამზადება-მონტაჟის სამუშაოების შესრულებისათვის მიიღო 338 ათასი ლარი. სამუშაოების შესასრულებლად კომპანიამ აიყვანა ქვეკონტრაქტორი, რომლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საგზაო ნიშნების დგარების მიწოდება-მონტაჟის თვითღირებულება შეადგენდა დაახლოებით 166 ათას ლარს[10]. შესაბამისად, სულ დიდი საგზაო ნიშნების დგარების დამზადება სავარაუდოდ შესაძლებელი იყო 179 ათას ლარად[11], რაც 159 ათასი ლარით ნაკლებია მერიის მიერ გადახდილ თანხაზე.

2011 წელს ანალოგიური სამუშაოები მერიამ შეისყიდა შპს „გონი 2009“-სგან, რომელმაც ხელშეკრულების შესაბამისად დიდი საგზაო ნიშნების 48 დგარის მოწყობის სამუშაოებში მიიღო 356 ათასი ლარი. 2010 წლის ფასების გათვალისწინებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული სამუშაოების შესრულება დაახლოებით 172 ათას ლარად შეიძლებოდა,[12] რაც 184 ათასი ლარით ნაკლებია მერიის მიერ გადახდილ თანხაზე.

<u>პატარა საგზაო ნიშნები</u>

თბილისის მერიის მიერ 2009-2011 წლებში შესყიდულია 590 ათასი ლარის ღირებულების 8.9 ათასი საგზაო ნიშანი.

2009 წელს 2.03 ათასი საგზაო ნიშანი შეძენილია შპს „ტრეფიკ პროსგან“ 122 ათას ლარად. აღნიშნული საგზაო ნიშნები დამზადებულია საქართველოში ქარხნული დამუშავების გარეშე და დაბალი ხარისხისაა. 2010-2011 წლებში თბილისის მერიამ

[10] 1 დგარის თვითღირებულება 8 % ზედნადები ხარჯის გათვალისწინებით დღგ ჩათვლით 3321 ლარი. (დღგ-ს გარეშე 2814.6 ლარი)
[11] 1 დგარის ღირებულება 8 % მოგების გათვალისწინებით დღგ-ს ჩათვლით 3587 ლარი (2814,6*1,08*1,18)
[12]3587*48=172 176 ლარი

დაახლოებით იმავე ფინანსური რესურსით განახორციელა ევროპული სტანდარტის, მაღალი ხარისხის საგზაო ნიშნების შეძენა სხვადასხვა მიმწოდებლისგან.

<u>შუქნიშნებისა და საგზაო ნიშნების ექსპლოატაცია</u>

2009-2011 წლებში ქ.თბილისში შუქნიშნებისა და საგზაო ნიშნების მოვლა-პატრონობას ახორციელებს შპს „გზაჯვარედინი“. 3 წელიწადში შუქნიშნებისა და საგზაო ნიშნების ექსპლოატაციაში მერიის მიერ გადახდილია 899 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოების ანალიზისას გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

1. *არსებობს რისკი*, რომ სამუშაოების ნაწილი მიმწოდებლის მიერ სრულად არ არის შესრულებული;

- მიმწოდებელს 142 ათასი ლარი მიღებული აქვს „შუქნიშნებისა და საგზაო ნიშნების მხედველობის არის შემოწმებაში“. მერიის მიერ შემუშავებული კონტროლის მექანიზმების შესწავლის შედეგად, აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ იქნა მოპოვებული საკმარისი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მერიას აქვს სათანადო კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ამ სამუშაოების შესრულების ნამდვილობას. აქედან გამომდინარე, არსებობს რისკი იმისა, რომ მიმწოდებელი ჯეროვნად არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. აღსანიშნავია, რომ ქ.თბილისის მერიის თანამშრომლები თავად ახდენენ პერიოდულ შემოვლას და აწარმოებენ იმ ობიექტების აღრიცხვას, სადაც „მხედველობის არე“[13] შეზღუდულია. აგრეთვე ზოგიერთ შემთხვევაში საპატრულო პოლიცია აფიქსირებს გამოვლენილი ხარვეზს და ინფორმაციას აწვდის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს.

[13] აგრეთვე ახდენენ სხვა სახის ხარვეზების გამოვლენას და წერილობით აცნობებენ მიმწოდებელს ხარვეზების უმოკლეს ვადებში აღმოფხვრის შესახებ

2. ქ. თბილისის მერიის მიერ არასათანადოდ ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგად ვერ მოხერხდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების სწორი დათვლა, რის გამოც არსებითად გაიზარდა მერიის მიერ ექსპლოატაციაზე გაწეული ხარჯი

- მიმწოდებელი ცვლის გადამწვარ მოდულებს (შუქნიშნის მანათობელი ნაწილი, წითელი, ყვითელი, მწვანე). 2009-2011 წლებში სულ გამოიცვალა 343 ათასი ლარის ღირებულების 1 093 მოდული. მოპოვებული საბაჟო მონაცემების მიხედვით დადგინდა, რომ მიმწოდებელს გამოცვლილი მოდულების მსგავსი მახასიათებლების 1 ცალ მოდულში გადახდილი აქვს მაქსიმუმ 120 ლარი[14]. მერიის პასუხისმგებელი პირის ზეპირი განმარტებით 1 ცალი მოდულის მონტაჟის სატრანსპორტო და სახელფასო ხარჯი საშუალოდ 35 ლარია. ამ გაანგარიშებით, 1 მოდულის მონტაჟისთვის საჭიროა მაქსიმუმ 155 ლარი, რაც ჯამში, 1 093 ცალი მოდულისთვის, სავარაუდოდ შეადგენს 169.4 ათას ლარს. მერიამ კი აღნიშნულ მომსახურებაში გადაიხადა 343.5 ათასი ლარი.

გზაჯვარედინების რეორგანიზაცია, ე.წ. „უსაფრთხოების კუნძულები“

2009-2011 წლებში სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოებისა და მაღალი გამტარუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა ე.წ. „უსაფრთხოების კუნძულების“ მოწყობის სამუშაოები საერთო ღირებულებით - 2 104 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოების ძირითადი ნაწილი შეასრულა შპს „ჯეო პლაზამ“ ჯამური თანხით - 1.6 მილიონი ლარი. აუდიტის ჯგუფის მიერ ამ საკითხის შესწავლისას

[14] 1 ცალ მოდულში მიმწოდებელს გადახდილი აქვს 36 დან 50 დოლარამდე. ვალუტის გაცვლითი კურსის, ტრანსპორტირების და გადასახადების გათვალისწინებით საქონლის საბაჟო ღირებულება 120 ლარს არ აჭარბებს.

გამოვლინდა, რომ არსებობს რისკები გარკვეული სამუშაოების შეუსრულებლობის შესახებ, რომელშიც მიმწოდებელმა ანაზღაურება მიიღო. კერძოდ:

1. მიღება-ჩაბარებებით გაწერილია, რომ მიმწოდებელმა მოახდინა კონკრეტული რაოდენობის ქვიშის მიწოდება-დაგება, ხოლო იმავე მიღება-ჩაბარების აქტის სხვა პუნქტით, აღნიშნული რაოდენობის ქვიშის მიწოდება-დაგება არ ფიქსირდება. კერძოდ, 2011 წელს შპს „ჯეო-პლაზასთან“ გაფორმებული N30/658-1 ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელს სამ გზაჯვარედინზე[15] ჯამურად უნდა განეხორციელებინა 3 933 კვ.მ ფერადი ფილების დაგება, რომლის 3 სმ-იანი ქვიშა - ბალიშის მოსაწყობად საჭირო იყო 118 კუბ.მ ქვიშა. მიმწოდებელმა შესრულებული სამუშაოების აქტებში ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად აჩვენა 298 კუბ.მ ქვიშის მასალის მიწოდება, რაც 180 კუბ.მ-ით აღემატება ფაქტობრივად საჭირო რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ ქ.თბილისის მერიის მიერ წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აქტით ქსნის ქუჩაზე მიმწოდებლის მიერ „პლასტმასის მილებისათვის ბალიშის“ მოსაწყობად დამატებით გახარჯულია 60 კუბ.მ ქვიშა, რაზედაც მერიამ ხარჯთაღრიცხვის კორექტირება არ მოახდინა და ანაზღაურება განახორციელა “ფერადი ფილებისათვის 3 სანტიმეტრიანი ქვიშა-ბალიშის მოწყობის” სამუშაოების პუნქტიდან.

2. ქ. თბილისის მერიის მიერ 2009 წელს შპს „ჯეო-პლაზასთან“ გაფორმებული N31/522 ხელშეკრულება ითვალისწინებდა ხუთი გზაჯვარედინის[16] რეორგანიზაციის სამუშაოებს. ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვასა და შესაბამისად, შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში ფიქსირდება სხვადასხვა შეუსაბამობები ხარჯთაღრიცხვის პუნქტებს შორის. საბოლოო შესრულების მიხედვით ჯამურად ხუთივე გზაჯვარედინზე მოიხსნა 15 სმ სისქის ასფალტბეტონის საფარი 11 917 კვ მეტრზე. ანუ დემონტირებული მასალების მოცულობამ, გაფხვიერების კოეფიციენტის[17] და დემონტირებული

[15] გმირთა მოედანზე, ვარკეთილის ხიდთან და ქსნის ქუჩაზე.
[16] წერეთელი-ცაბაძე, თამარაშვილი-ყაზბეგი, მეტრო „ისანთან“, პეკინი-ვაჟა-ყაზბეგის ქუჩების გადაკვეთაზე, ვარაზისხევი-კეკელიძე-მელიქიშვილის ქუჩები.
[17] გაფხვიერების კოეფიციენტია 1.3.

ბაზალტის ბორდიურების გათვალისწინებით შეადგინა 2 399 კუბ. მეტრი.[18] მიმწოდებელმა კი დააფიქსირა და შესაბამისად ანაზღაურება მიიღო 3 126 კუბ. მეტრი დემონტირებული მასალის დატვირთვა-გატანაზე. სხვაობამ შპს „ჯეო-პლაზას“ მიერ ნაჩვენებ დემონტირებული მასალების დატვირთვა-გატანასა და ფაქტობრივად დემონტირებულ მასალებს შორის შეადგინა 727 კუბ.მ (ერთეულის ფასი - 7.2 ლარი) შესაბამისად, აუდიტის ჯგუფის აზრით არსებობს რისკი, რომ მიმწოდებელს აუნაზღაურდა 5.2 ათასი ლარის შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულება.

3. 2009 წელს შპს „ჯეო-პლაზასთან“ გაფორმებული N31/522 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების ერთ-ერთი პუნქტია „მესამე კატეგორიის გრუნტის დამუშავება თხრილში ხელით“. საბოლოო შესრულების მიხედვით ჯამურად მოხსნილი ასფალტბეტონის საფარის რაოდენობამ შეადგინა 1 787 კუბ.მ,[19] ხოლო მიმწოდებელმა დააფიქსირა მესამე კატეგორიის გრუნტის დამუშავება თხრილში ხელით“ - 2 022 კუბ.მ (ერთეულის ფასი 10 ლარი). აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული პუნქტი გულისხმობს ასფალტბეტონის საფარის მოხსნის შემდეგ თხრილში დარჩენილი გრუნტის მოსწორებას. შესაბამისად, დამუშავებული გრუნტის მოცულობა ნაკლები უნდა იყოს ფაქტობრივად მოხსნილი გრუნტის რაოდენობაზე, სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რეალურად დამუშავდა თუ არა 2 022 კუბ.მ მესამე კატეგორიის გრუნტი. სულ აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაოებზე შპს „ჯეო-პლაზას“ აუნაზღაურდა 20.2 ათასი ლარი.

2009 წლის 20 იანვრის N21/20 ხელშეკრულების თანახმად, თბილისის მერიამ შპს "ოშკი+"-ს გადაუხადა 175 ათასი ლარი, შესყიდვის ობიექტი იყო ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზირების გადაკვეთაზე, გზაჯვარედინის რეორგანიზაციის სამუშაო. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ჯგუფის მიერ

[18] გაანგარიშებისას მოხსნილი ასფალტობეტონის ფართობი 11 917 კვ.მ გამრავლებულია მოხსნის სისქეზე 15 სმ-ზე და გაფხვიერების კოეფიციენტ 1.3-ზე, ასევე უნდა დაემატოს დემონტირებული ბაზალტის მოცულობა, დაახლოებით 75 კუბ.მ

[19] 11 913 კვ.მ ასფალტბეტონი მოხსნილია 15 სმ-ის სიმაღლეზე.

განხორციელი აზომვებით დადგინდა, რომ შესრულებული არ არის სამუშაოების ნაწილი. კერძოდ, მიმწოდებელს ხელშეკრულების მიხედვით უნდა განეხორციელებინა 666 ცალი ბორდიურის მიწოდება-მონტაჟი, ხოლო ფაქტობრივად დამონტაჟდა 584 ცალი. მიმწოდებლის მიერ სამუშაოების ნაწილში ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 80 ცალი მთლიანი ბორდიურის ნაცვლად, გამოყენებულ იქნა 40 ცალი შუაზე გაჭრილი ბორდიური, რომლებიც მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირდა როგორც მთლიანი და შესაბამისად, ანაზღაურდა მთლიანი ბორდიურისათვის გათვალისწინებული თანხით. გარდა ამისა, აზომვებით გამოვლინდა 42 ცალი ბორდიურის დანაკლისი. შპს „ოშკი+“-ს მიერ სავარაუდოდ შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 12 ათას ლარს.

ნაგვის ურნებისათვის ე.წ. „ჯიბეების“ მოწყობის სამუშაოები

2009 წელს ქ. თბილისის მერიამ შპს „ჯეო პლაზა“-სგან შეისყიდა 198 ათასი ლარის ღირებულების ნაგვის ურნებისათვის ე.წ. „ჯიბეების“ მოწყობის სამუშაოები. აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელდა შესრულებული სამუშაოების შერჩევითი აზომვა, შედეგად გამოიკვეთა, რომ შესაძლებელია შეუსრულებელი იყოს სხვადასხვა სახის სამუშაოები, კერძოდ:

1. არ არის დაგებული იმ მოცულობის ასფალტის საფარი, როგორც ეს მიღება-ჩაბარებების აქტებშია დაფიქსირებული. მაგალითად, ნაგვის ურნისათვის 2 ადგილიანი “ჯიბეები“ მოწყობილი უნდა ყოფილიყო 5 კვ.მ ასფალტის საფარით, ხოლო აზომვების შედეგად დაგებული აღმოჩნდა საშუალოდ 3.7 კვ.მ. 1 - ადგილიან ჯიბეებზე 2 კვ.მ ასფალტის საფარის ნაცვლად დაგებულია დაახლოებით 1.7 კვ.მ. აღნიშნულის გათვალისწინებით შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულება სავარაუდოდ შეადგენს 8.8 ათასი ლარი.

2. ბაზალტის ბორდიურები არ არის იმ რაოდენობით დამონტაჟებული, როგორც ეს დოკუმენტებში ფიქსირდება. კერძოდ, ნაგვის ურნების ერთადგილიან ჯიბეებზე უნდა მოწყობილიყო 4 გრძ.მ ბაზალტის ბორდიური, ხოლო აზომვების შედეგად საშუალოდ აღმოჩნდა 3.8 გრძ.მ. 2 - ადგილიან ჯიბეებზე 6 გრძ.მ-ის ნაცვლად აღმოჩნდა დაახლოებით 5.4 გრძ.მ. შედეგად, შეუსრულებელია დაახლოებით 6.9 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო.

სხვადასხვა საქონელი და მომსახურება

საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად და ეკონომიურად ხარჯვის მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია საქონლისა და მომსახურების შესყიდვის პროცესში, პირველ ეტაპზე ჩაატაროს ბაზრის კვლევა, რათა სწორად დაგეგმოს შესყიდვის პროცესი, განსაზღვროს შესყიდვის ობიექტის რეალური საბაზრო ღირებულება და თავიდან აიცილოს საქონლის არაგონივრულად მაღალი ფასით შეძენა. ქ. თბილისის მერიის მიერ ბაზრის არასათანადო კვლევის განხორციელებისა და სავარაუდო ღირებულების არასწორი დათვლის შედეგად ზოგიერთი საქონლის შესყიდვა მოხდა არაგონივრულად მაღალი ფასით.

<u>მოძრაობის კონტროლისა და მართვის ცენტრის მოწყობის სამუშაოები</u>

ქ. თბილისის მერიამ 2010 წლის 6 ოქტომბრის ხელშეკრულებით მოახდინა სს „SEMEX”-ისგან „ქ. თბილისში მოძრაობის კონტროლისა და მართვის ცენტრის მოწყობისა და მასში 19 შუქნიშნის ობიექტის ჩართვის სამონტაჟო-საექსპლოატაციო მომსახურების“ შესყიდვა, საერთო თანხით - 2 875 ათასი ევრო. პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შეადგინა შპს „კომპუსმა“. სს „SEMEX”-ის მიერ შესრულებული სამუშოების შესწავლისას დადგინდა, რომ შედგენილ ხარჯთაღრიცხვაში გაწერილი

ფასები აღემატებოდა რეალურ საბაზრო ფასს. კერძოდ, ამ ხელშეკრულების ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე მერიამ სს „SEMEX”-ს გადაუხადა 282 ათასი ევრო, მსგავსი ტიპის სამუშაოების შესყიდვაში ადგილობრივ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, ქ. თბილისის მერია იხდიდა გაცილებით ნაკლებ თანხას. აუდიტის ჯგუფმა შეადარა „ქ. თბილისში მოძრაობის კონტროლისა და მართვის ცენტრის მოწყობისა და მასში 19 შუქნიშნის ობიექტის ჩართვის სამონტაჟო-საექსპლოატაციო მომსახურების“ ჩაშლილ ტენდერში შპს „გზაჯვარედინისა“ და სს „SEMEX”-ის ერთეულის ფასები და დადგინდა, რომ შპს „გზაჯვარედინის“ სატენდერო წინადადების მიხედვით აღნიშნული სამუშაოების შესრულება შესაძლებელი იყო 150 ათასი ევროთი ნაკლებ ფასად. ჩაშლილ ტენდერში შპს „გზაჯვარედინის“ მიერ სამშენებლო სამუშაოების შეთავაზებული ფასები წარმოადგენდა რეალურ საბაზრო ღირებულებას, ვინაიდან შპს ქ. თბილისის მერიას მსგავს სამუშაოებს სხვა ხელშეკრულებების ფარგლებში აწვდის დაახლოებით იმავე და უფრო ნაკლებ ფასად.

<u>მზის ენერგიაზე მომუშავე სანათები</u>

2011 წლის 23 დეკემბერს ქ. თბილისის მერიასა და შპს „ჯორჯია საიდეს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება მზის ენერგიაზე მომუშავე 63 ათასი ლარის ღირებულების გზის სანათების შესყიდვაზე. ტენდერზე, რომელზეც შესყიდულ იქნა აღნიშნული სანათები, აუცილებელი მოთხოვნა იყო მიმწოდებელს განეხორციელებინა სანათების მიწოდება წლის ბოლომდე, ანუ 7 დღეში. პრეტენდენტი, რომელსაც გააჩნდა სურვილი მონაწილეობა მიეღო აღნიშნულ ტენდერში ვერ მოასწრებდა საქონლის იმპორტს, რადგან საქონლის სპეციფიკიდან გამომდინარე, ის ქვეყნის შიგნით არ იწარმოება. მოპოვებული საბაჟო დოკუმენტაციის მიხედვით მიმწოდებელს 1 სანათში გადახდილი აქვს დაახლოებით 11 ლარი[20]. იმის გამო, რომ შპს „ჯორჯია საიდეს“ გააჩნდა მარაგი ის

[20] 11 ლარში შედის საქონლის ღირებულება, ტრანსპორტირება საბაჟომდე და გადასახადები

მონოპოლიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა და მერიას სანათები მიაწოდა 39 ლარად, საქონლის საბაჟო ღირებულებაზე 254 % ფასნამატით. (42 ათას ლარიანი ამონაგები)

<u>მოქნილი ბოძების, „ბოძწკინტების“ შეძენა</u>

ქ.თბილისის მერიამ 2009 წელს განახორციელა შპს „2 ბი ჯეი-სგან“ 159 ათასი ლარის ღირებულების 7 000 ცალი „ბოძწკინტის“ (მოქნილი, დრეკადი ბოძი) შეძენა. დადებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად საქონელს გააჩნდა ხარისხის 3 წლიანი გარანტია, რაც ითვალისწინებდა იმას, რომ სამი წლის განმავლობაში მიმწოდებელი იღებდა ვალდებულებას საკუთარი სახსრებით გამოეცვალა დაზიანებული „ბოძწკინტები“ ან მოეხდინა მათი აღდგენა, დაყენებული 2600 ცალი „ბოძწკინტიდან“ 2011 წელს 30 % (776 ცალი[21] - 16.1 ათასი ლარის ღირებულების) გამოვიდა მწყობრიდან. მერიამ არ გამოიყენა არსებული გარანტირების მექანიზმი და უზრუნველყო დაზიანებული „ბოძწკინტების“ გამოცვლა საკუთარი ხარჯებით (გამოცვლის ღირებულება 6.2 ათასი ლარი და 16.1 ათასი ლარის საქონელი) მაშინ, როდესაც ხელშეკრულების 3 - წლიანი გარანტიის შესაბამისად, შეცვლა უნდა განეხორციელებინა მიმწოდებელს საკუთარი სახსრებით. აგრეთვე 2011 წელს მერიის მიერ 14 710 ლარად, 1 471 დაზიანებულ ბოძწკინტზე გამოიცვალა „არაკალი“ (შუქამრეკლი ფირი), ანუ ჯამში, მხოლოდ ამ ერთ შემთხვევაში მერიამ განიცადა დაახლოებით 37 ათასი ლარის ზარალი. მოპოვებული საბაჟო დოკუმენტაციის მიხედვით 1 ცალი ბოძწკინტი მიმწოდებელს შესყიდული აქვს დაახლოებით 14 ლარად[22], ხოლო ქ.თბილისის მერიას აწვდის 20.8 ლარად(48 % საბაჟო ღირებულებაზე ფასნამატი).

[21] ფორმაN2 ში „დაზიანებული ბოძკინტის გამოცვლა, ახლის მონტაჟის“ პუნქტით ფიქსირდება 1118 ცალის მონტაჟი. ქ.თბილისის მერიის განმარტებით 1118 ცალი ბოძკინტიდან 342 დაყენებულია „ახალ ადგილებზე“

[22] 14 ლარში შედის საქონლის ღირებულება, გადასახადები და ტრანსპორტირება თბილისამდე

<u>სიჩქარის შემანელებელი ხელოვნური უსწორმასწორობების,ე.წ. „დაწოლილი პოლიციელების“ შეძენა</u>

ქ.თბილისის მერიის მიერ 2009-2011 წლებში შესყიდულ იქნა 650 ათასი ლარის ღირებულების ე.წ. „დაწოლილი პოლიციელები“ (სიჩქარის შემანელებელი ხელოვნური კონსტრუქციები) 4 სხვადასხვა მიმწოდებლისგან, შპს „2 ბი ჯეი“, შპს „ჯითიესემი“, შპს „საქართველო საფინანსო კომპანია“, შპს „მნმ მულტიკომი“. საქონლის საგარანტიო პერიოდი შეადგენდა 3-5 წელიწადს, ანუ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საქონლის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მიმწოდებელი უზრუნველყოფდა მის შეკეთებას საკუთარი სახსრებით. როგორც მერიის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით ირკვევა 2009 წელს შპს „2 ბი ჯეისგან“ შესყიდული „დაწოლილი პოლიციელების“ 20 %-ზე მეტი, 2010 წელს გამოვიდა მწყობრიდან და საჭირო გახდა მათი შეცვლა. ქ. თბილისის მერიის მიმართვის საფუძველზე, შპს „2 ბი ჯეიმ“ გამოცვალა ისინი. შემდგომ წლებში დაზიანებული და უხარისხო საქონლის შესახებ ინფორმაცია დოკუმენტურად არ ფიქსირდება. მოპოვებული საბაჟო დეკლარაციების მიხედვით მერიას მიმწოდებლები მაღალი ფასნამატით აწვდიან საქონელს. კერძოდ, შპს „2 ბი ჯეის“ საქონელი შესყიდული აქვს დაახლოებით 17 ლარად[23], ხოლო შემსყიდველს აწვდის 60 ლარად(საბაჟო ღირებულებაზე ფასნამატი - 252%); შპს „საქართველოს საფინანსო კომპანიას“ შესყიდვა განხორციელებული აქვს დაახლოებით 27 ლარად[24], ხოლო მიწოდება 70 ლარად (საბაჟო ღირებულებაზე ფასნამატი - 159%); შპს „ჯითიესემს“ შესყიდული აქვს დაახლოებით 33 ლარად[25], ხოლო მიწოდება განხორციელებული აქვს 70 ლარად (საბაჟო ღირებულებაზე ფასნამატი - 112%); შპს „მნმ მულტიკომი“ 29 ლარად[26] შესყიდულ სანათებს ქ.თბილისის მერიას აწვდის 55 ლარად (საბაჟო ღირებულებაზე ფასნამატი - 89%).

[23] 17 ლარში შედის საქონლის ღირებულება, ტრანსპორტირება საბაჟომდე და გადასახადები
[24] 27 ლარში შედის საქონლის ღირებულება, ტრანსპორტირება საბაჟომდე და გადასახადები
[25] 33 ლარში შედის საქონლის ღირებულება, ტრანსპორტირება საბაჟომდე და გადასახადები
[26] 29 ლარში შედის საქონლის ღირებულება, ტრანსპორტირება საბაჟომდე და გადასახადები

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში, ქ. თბილისის მერიის მიერ 2009-2011 წლებში განხორციელებული საქმიანობა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

აუდიტორი:
ბარამ ონიანი ხელმოწერა 19.02.2014 თარიღი

აუდიტორი:
მიხეილ ჩიქოვანი ხელმოწერა 19.02.2014 თარიღი

აუდიტორი:
ასმათ ლილუაშვილი ხელმოწერა 19.02.2014 თარიღი

აუდიტორი:

ზურაბ ზუმბაძე ხელმოწერა 19.02.2014 თარიღი

დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე:

გიორგი მამრიკიშვილი ხელმოწერა 19.02.2014 თარიღი